




# საქართველოს





იმისთანა წმინდა საცმეში,  
ბეჭდის ბეჭდუდი სიფყვას,  
ფეხლებით და ჭაბრით ბუდის  
გაფანა ყველა უკადრისდაზე  
უსამაგლესია.

 **დაარსებულია**  
1918 წელს.   
ოთხშაბათი, 16 ოქტომბერი, 2013 წელი.  
№198 (7325)

# რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: [sakresp@mail.ru](mailto:sakresp@mail.ru) და [sakresp@wanex.ge](mailto:sakresp@wanex.ge) ვებ გვერდი: [www.open.ge](http://www.open.ge) ფასი 50 თეთრი.



## ივანიშვილისა და ბურჯანაძის სახელისუფლებო ტანდემი მეიმედაბა



თამაზ დაუშვილი:  
27 ოქტომბერს  
ნაციონალების  
თარეუს წერტილი  
დაესმება

**„რუსები  
საკუთარ თავს  
ენინააღმდეგებინან“**

სახალსო  
დიპლომატია  
არასოდეს  
ქველდება



მინისა და  
წყლისქვეშეთით –  
ლონდონაბდა...  
კარნახის ბავლით

**„ხვანჭკარის“ რთველი და  
ხარისხის გაყალბების  
მსდელობა რაჭაში**



**მაგტიკომის  
ბათამაშება დაიდყო**



**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვამბან ვერ ნახავ!..**







ალიან-ჩალიანი

ქვეყნის წინააღმდეგ საჩივრის სტრასბურგი პარტი წლის შედეგ განიხილავს

სტრასბურგის სასამართლოში საქართველოს მიერ რუსეთის წინააღმდეგ შეტანილ საჩივარზე გადაწყვეტილება 2014 წელს გამოცნადდება. ამის შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან იტყობინებიან.

ეს პასუხი უწყებამ, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს წარმოადგენს სტრასბურგის სასამართლოში, მას შემდეგ მიიღო, რაც იუსტიციის მინისტრი საჩივრის ბედი დაინტერესდა და სტრასბურგის სასამართლოს შეასენა, რომ საქმეზე ზეპირი განხილვა ჯერ კიდევ 2012 წლის ივნისში იყო დასრულებული. სტრასბურგის სასამართლოს წერილში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რატომ დაგვიანდა გადაწყვეტილების გამოქვეყნების პროცესი, - აცხადებენ სამინისტროში.

რუსეთიდან საქართველოს მოქალაქეების მასობრივ დეპორტაციასთან დაკავშირებით საქართველომ სახელმწიფოთა შორის საჩივარი რუსეთის წინააღმდეგ სტრასბურგში 2007 წლის მარტში შეიტანა. 2009 წლის 16 აპრილს გაიმართა ზეპირი განხილვა საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით, რომელშიც ქართული და რუსული მხარეები მონაწილეობდნენ. 2009 წლის 30 ივნისს სასამართლომ საქართველოს საჩივარი დასაშვებად ცნო და, საქმის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ის განსახილველად სასამართლოს დიდ პალატას გადასცა.

2011 წლის 1 თებერვლიდან, 5 დღის განმავლობაში, სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ ზეპირი მოსმენის წესით დაკითხა მოწმეები. პირველი ორი დღე ქართული მხარის მიერ წარდგენილი ათამდე მოწმის მოსმენას დაეთმო, ხოლო დანარჩენ დღეებში სასამართლო რუსეთის მხარის მოწმეებს უსმენდა.

2012 წლის 13 ივნისს ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ კიდევ ერთხელ მოუსმინა მხარეებს, რის შემდეგაც სასამართლომ საქმის არსებითი განხილვა დაასრულა.

მიმდინარე წელს საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს საჩივრის ბედი ოფიციალურად დაინტერესდა და სასამართლოსგან წერილობით გამოითხოვა პასუხი იმის შესახებ, თუ როდის გამოქვეყნდება გადაწყვეტილება ზემოაღნიშნულ საქმეზე.

მოსამართლევს

ანაზღაურება გააზრდება

2014 წლის ბიუჯეტში მოსამართლეთა შრომის ანაზღაურება იზრდება. როგორც ფინანსთა სამინისტროდან იტყობინებიან, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში მოსამართლეთა შრომის ანაზღაურების ზრდა და სოციალური გარანტიების მოწესრიგება იგეგმება.

აღნიშნულ საკითხზე ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა ლევან მურუსიძემ ფინანსთა სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე ისაუბრეს.

მიღწეული შეთანხმებით, შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც მომავალი წლის ბიუჯეტში აღნიშნული საკითხების მოგვარებაზე იმუშავებს.

მიგვაჩნია, რომ სასამართლო ხელისუფლების ფინანსური დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ მოსამართლეებს, სასამართლო სისტემაში, ისევე როგორც იუსტიციის საბჭოში მომუშავე თანამშრომლებს ჰქონდეთ შრომის ღირსეული ანაზღაურება, რაც მნიშვნელოვნად გააძვირებს სასამართლო ხელისუფლებას. შევთანხმდით, რომ უკვე კონკრეტულ მაჩვენებლებზე სამუშაო ჯგუფის ფორმატში გავაგრძელებთ მუშაობას და უკვე 2014 წლის ბიუჯეტში აისახება როგორც მოსამართლეების, ისე აპარატის თანამშრომლების ხელფასების მნიშვნელოვანი ზრდა, - განაცხადა ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა.

ინიციატივა მოსამართლეთა ხელფასების მოწესრიგების შესახებ კომისიონისტ ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნის. სწორედ მისი დაგეგმვით დაიწყო მუშაობა ფინანსთა სამინისტრომ სასამართლო სისტემაში შრომის ანაზღაურების მოწესრიგების საკითხებზე.

06ტმრპრკს0

მაგთის ბატამაშეებში

პოიზა!



2014 წლის რეინს როვერ სპორტი



ბინა ლისი ვერანდაზე



100 000 ლარი

მაგთის, ბანის, ბალისა და მაგთი ფიქსის აბონენტებმა გათამაშებაში მონაწილეობისათვის

დარეკეთ \*599

\*5990  
www.magticom.ge

50ბარტმბ N19-03/061

ალიან-ჩალიანი

ხმობილია როგორ სანარჩოვსა და აფინანსებს მთავრობა

მთავრობამ „შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში“ დაფინანსებული სანარჩოვების რუკა გამოაქვეყნა. როგორც მთავრობის კანცელარიიდან იტყობინებიან, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ამ ახალ შექმნილი და უკვე შექმნილი სანარჩოვების რუკა გამოაქვეყნა, რომელიც მთავრობის დაფინანსებით „შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში“ ფინანსდება. რუკა შედგენილია ქალაქების მიხედვით; წარმოდგენილი რუკის თანახმად, ქვეყნის მასშტაბით, ყველა რეგიონში სხვადასხვა მიმართულებებისა და წარმოების, სანარჩოვების განვითარება ფინანსდება.

სამინისტროს ინფორმაციით, სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოს ხელისუფლებისთვის სტრატეგიული და პრიორიტეტული მიმართულებაა და უკვე რამდენიმე თვეა, წარმატებით სორცეიდდება პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაწყებული „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი, რომელიც ფინანსურ რესურსზე ფერმერთა ხელმისაწვდომობას აადვილებს.

პროექტის მიზანია, რომ ფერმერმა და მე-



წარმემ როგორც არსებული სანარჩოვს გაფართოება, ასევე ახლის მშენებლობა შეძლონ.

სტუდენტებმა საქარეიშვილის განსხვავებული კანცელარიისთან გააკრეს

რამდენიმე სტუდენტმა რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პაატა ზაქარეიშვილის განცხადებები გააპროტესტა, რომელიც რუსი ოკუპანტების ბოლოდროინდელ ქმედებებს და საზღვრის გადმონეგვას უკავშირდება.

სტუდენტებმა პაატა ზაქარეიშვილის ის განცხადება დაგმეს, რომლის თანახმადაც, როდესაც რუსი ჯარისკაცი საპირფარეოში შედის, ის ოკუპირებულია. სტუდენტებმა სიმბოლური აქცია გამართეს. მათ კანცელარიასთან მიიტანეს უნიტაზი, რომელსაც დააკრეს პაატა ზაქარეიშვილის სურათი წარწერით - „ბოდიში, ოკუპირებულია“ და ზედ მათულებლარები შემოაბეს.

როგორც სტუდენტები აცხადებენ, პაატა ზაქარეიშვილის განცხადებები ცინიკური და დამამცირებელია. აქციის მონაწილეების თქმით, პაატა ზაქარეიშვილი აცხადებს, რომ რუსეთი არ ახდენს ოკუპაციას, რუსეთი უბრალოდ საზღვარს ღობავს, რაც მინისტრის მხრიდან არასწორი პოზიციაა.

სტუდენტები ზაქარეიშვილს მოუწოდებენ, რომ თავი შეიკავოს მსგავსი განცხადებებისგან და განცხადებების გაკეთება ისწავლოს.

06ტმრპრკს0









# მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს „ნოვა კრედიტი“

## ფინანსური ანგარიშგება

### შპს აუდიტორული ფირმა „მრჩეველი“ აუდიტორული დასკვნა საანგარიშო წლისთვის (2012 წლის 31 დეკემბერი)

#### აუდიტორული დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს „ნოვა კრედიტის“ თანდართული ბუღალტრული ბალანსის აუდიტი 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშის აუდიტი იმ საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით.

ჩვენ გვევალება ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვხატოთ მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგებების შესახებ.

აუდიტის წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ჩვენს მიერ აუდიტი იმგვარად იყო დაგეგმილი და ჩატარებული, რომ წარმოდგენილ პირველად დოკუმენტებზე დაყრდნობით მიგველო დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგებები არსებით უზუსტობებს. ჩატარებული აუდიტის დროს შესწავლილი იქნა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები, მათი შესაბამისობა საქართველოში მოქმედ ბუღალტრული აღრიცხვის ნორმებთან და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორე. აუდიტორული შემოწმება დაეყრდნო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს), „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის, და საქართველოში მოქმედი სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის შესადგენად.

ჩვენი აზრით, ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგებები უწყურად და სამართლიანად ასახავს საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობას 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და რომელიც შედგენილია არსებითი ხარვეზების გარეშე საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტების მიხედვით.

სრული შემოსავლის ანგარიშგება		ფული და ფულის ექვივალენტები	
2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ლარებში)	2012	2011	
საპროცენტო შემოსავალი	2,014,979	821,485	143,403
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანგარიშებზე განთავსებული	3,800	4,788	4,473,099
სესხის გადებისა და სესხის წინსწრებით დაფარვის საკომისიო	755,230	177,977	131,914
სხვა საოპერაციო შემოსავალი	157,206	81,855	87,949
საპროცენტო ხარჯი	(149,614)	(48,808)	710,068
<b>საერთო მოგება</b>	<b>2,281,603</b>	<b>1,037,247</b>	<b>277,926</b>
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(417,626)	(167,151)	სხვა მიმდინარე აქტივები
მარკეტინგული ხარჯი	(6,177)	(3,831)	11,551
ძირითადი საშუალებების გახვიდან და გაუფასურებიდან შემოსავალი ზარალი	(822)	0	სულ მიმდინარე აქტივები
კურსთშორის სხვაობიდან წარმოშობილი მოგება ზარალი	(15,297)	(101,293)	5,470,035
სხვა შემოსავალი	2,230	0	გრძელვადიანი აქტივები
<b>მოგება დაზღვევამდე</b>	<b>1,843,911</b>	<b>764,973</b>	არამატერიალური აქტივები
მოგების გადასახადის ხარჯი	(276,824)	(113,239)	3,881
წმინდა მოგება	1,567,087	651,734	ძირითადი საშუალებები
<b>სრული შემოსავალი</b>	<b>1,567,087</b>	<b>651,734</b>	50,120
			<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>
			54,001
			<b>სულ აქტივები</b>
			5,524,036
			კაპიტალი და ვალდებულებები
			კაპიტალი
			მიმდინარე ვალდებულებები
			კრედიტორული დაფინანსება
			47,984
			გადასახდელი მოგების გადასახადი
			162,962
			<b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>
			210,946
			გრძელვადიანი ვალდებულებები
			გრძელვადიანი სესხი
			1,321,454
			<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>
			1,321,454
			კაპიტალი
			სააქციო კაპიტალი
			1,765,300
			გაუნაწილებელი მოგება
			2,226,336
			<b>სულ კაპიტალი</b>
			3,991,636
			<b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>
			5,524,036

### შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ნოვა კრედიტის“ ღირებულების შეფასების ანგარიშგება

ქ-ნ ლედი ქავთარაძეს (უზრუნველყოფის მესაკუთრე)  
მოგესალმებით ქ-ნო ლედი

გაცნობებთ, რომ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ნოვა კრედიტისა“ და ქ-ნ ლედი ქავთარაძეს შორის 2013 წლის 23 იანვარს გაფორმებული, ნომერი: **011301381** საკრედიტო ხელშეკრულების და 2013 წლის 23 იანვარს გაფორმებული, ნომერი: **130053494**, იპოთეკის ხელშეკრულების პირობები დარღვეულია, კერძოდ საკრედიტო ხელშეკრულების ნომერი: **011301381** -ის დანართში მითითებული გრაფიკის მიხედვით აღნიშნული სესხი 2013 წლის 23 აპრილიდან იმყოფება ვადაგადაცილებაში. თანახმად ზემო აღნიშნული ხელშეკრულებებისა, 2013 წლის 11 ოქტომბრის მდგომარეობით მოვითხოვთ დარიცხული საჯარიმო პროცენტის (1,853.17 აშშ დოლარი), ვადაგადაცილებული საპროცენტო დავალიანების (1,339.6 აშშ დოლარი), დარიცხული პროცენტი (121.98 აშშ დოლარი) ვადაგადაცილებული ძირითადი თანხის (858.52 აშშ დოლარი) და ძირითადი თანხის (6,870.79 აშშ დოლარი) (სულ: 11044,06 აშშ დოლარის) უკან დაბრუნებას მაქსიმუმ ორი კვირის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მივმართავთ ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლის ასაღებად იპოთეკის საგნის რეალიზებისთვის და შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ნოვა კრედიტის“ თანხის უკან დაბრუნებისთვის საჭირო ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებით და კანონით განსაზღვრულ ყველა ღონისძიებას.

თაღისა და ფულის ექვივალენტები

**მატივისცემით,  
მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს „ნოვა კრედიტის“ დირექტორი  
მელორი ასათიანი**

ტელ: 2 15 15 15  
მობ: 599 45 45 43  
2013 წლის 11 ოქტომბერი





გვერდითი მხარე – ვუკანასკნელში

მიერთებით მასაჟი კარგი მეორის ნასვლად მშობლებს იცის, რომ ტკივილისგან უფრო დასვენებას უზრუნველყოფენ...



გვიბასუხებს ექიმი-სტომატოლოგი ნანიკა მარბაძე: უბრალოდ დაიცავით კბილების უსაფრთხოების გარკვეული წესები...

თიაქარი - არაა საბავშვო ოპერაციისთვის

დიდი ხანია, მანამდე წელის ტკივილები რენტგენოგრაფიამ აჩვენა, რომ მქონია დიდი მალათაშორისი თიაქარი - მთელი 11 მილიმეტრი...



ადგენს თიაქარი 8-10 და მეტი მილიმეტრის დროს, მაგრამ სინამდვილეში ფეხების ძლიერი ტკივილი და დაბუფება შეიძლება გამოიწვიოს მცირე ნარმოხანკიდან - 6 მილიმეტრამდე...

წელში თიაქარის დროს იმის რისკი, რომ მან ან ოსტეოპატიზმით თავისი მოქმედებით შეიძლება პაციენტს მიაყენოს სერიოზული ზიანი...

საიდან ჩნდება თიაქარი?

დიდი ხანია ქერტილი მანუხებს. ყოველდღე მიწვეს თავის დაბანა. ვიყენებ სპეციალურ შამპუნებს, მაგრამ ისინი დიდი ხნით არა მშველიან...

გვიბასუხებს ექიმი-ტრიქოლოგი სიმონ რეზაძე: სეპორიის (კანის დაავადება, რომლისთვისაც დამახასიათებელია თვისებრივად შეცვლილი კანის ცხიმის გამოყოფა...



ქერტლის გაჩენა შეიძლება გამოიწვიოს თქვენს იშვიათმა დაბანვამ, უხარისხო შამპუნებისა და საღებავების, სტაილინგების საშუალებების გამოყენებამ...

ვადავადედი აპუზა

მსწლოვ 45 წლისა ვარ, მაგრამ უკვე ერთი წელია, რაც შემინვედა მენტრუაცია. ექიმმა მითხრა, რომ ეს კლიმაქსია. გაოგნებული ვარ. ადრე ხომ არ დამწყო იგი?

ანიკო, დედოფლისწყვარო გვიბასუხებს ექიმი-გინეკოლოგი ზაზუნა სიმონიშვილი:

მენტრუაციის შეწყვეტა - ესაა გენეტიკურად განპირობებული მდგომარეობა, რომელიც ხდება 40-დან 55 წლამდე. მონოპაუზის უფრო ადრე დადგომა შეიძლება დაკავშირებული იყოს არა მხოლოდ მეტყველებით...

ჩვენი პრესდაიჯესტი



„სადოქტორის მხიარულების სახმადიანო კამერის კომპლექსი“

ბეჭადობის უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი, პროკურატურას ვთხოვ, გამოიძიოს ეს ინტერესები. ჩხარტიშვილი განმარტავს, რომ ენერგეტიკის სამინისტროში დასაქმებული სამი ხელი...

ვარლამში „ნაციონალისტ“ დანაშაულები განხილვა იწყება

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ეკატერინა ამბოზი, რომ არავითარი გარიგება „ნაციონალისტთან“ არ იქნება. ასობით საქმეა აღძრული და იმედია, ეს საქმეები არჩვენების მერე უფრო სწრაფი ტემპით წარიმართება...

კოჭორიკა ვულკანის კონსტრუქციული მუშაობის დასრულება

„ახლაზორში იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე კახა კოჭორიკე იუსტიციის მინისტრს კონსტრუქციული მუშაობის მოუწოდებს. მისი თქმით, როგორც უწყებათშორისი კომისიის თავმჯდომარე, მეტი მოთმინების უნარი უნდა ჰქონდეს...

რეკლამა: საქართველოს რესპუბლიკაში 299-62-77; 599 32-85-76.

კალრი



ცინცხალი ანკალოტები

- დღის ცოლმა დამირეკა კურორტიდან, სამი კილოგრამი დავიკელი. - ეს ხომ ძალიან კარგია! - არც ისე. მისი წონის პატრონის სამი კილოგრამი გახდომა იგივეა, „მერსედის“ ვიდვისას ხუთლარიანი ფასდაკლება რომ მოგცენ.

- აზიზინ, მამაკაცებს თვალებით უყვართო... - მაშინ რად დადის ფასკა ერთთავად შავი სათვალით? - თავს იზღვევს! - თუ გინდა, რომ ქმარმა ქურქი გივი-



დოს, სექსის დროს სულ ქურქი უნდა უხსნენო და სხნოვო, მივიდგო - ეუბნება დაშა დაქალს. რამდენიმე ხნის შემდეგ ისინი ერთმანეთს შეხვდნენ: - აბა, როგორაა საქმე? გაქვს ქურქი? - არც ქურქი მაქვს და უკვე არც - სექსი!

- ზნაში გავხვეამდე რას აკეთებდი? - ვეითხება სერენტი ახალწვეულს. - საგადსახადოს ინსპექტორად გმუშაობდი. - მაშინ დილაობით ჯარისკაცებს გააღვიძებ სოლმე! - რატომ მაინცდაამინც მე? - იმიტომ, რომ შენ შეგუებული ხარ გარემომყოფთა ზიზის...

Advertisement for 'საქართველოს რესპუბლიკა' (Sakartvelos Republika) magazine, including contact info, ISSN, and subscription rates.